გუშინ „თელასის“ მიერ მთელი დღის განმავლობაში ელექტროენერგიის უთავბოლოდ გამორთვების გამო რედაქცია იძულებული გახდა, რომ დღევანდელი ნომერი რვაგვერდიანი გამოსულიყო, რისთვისაც მკითხველს ბოდიშს ვუხდით!

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლოესია.

სამშაბათი, 13 დეკემბერი. 2016 წ. №232 (8124), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

გუშინდელი დღის პოლიტრა

იაპონია-საქართველო:

მეგობრული ურთიერთობის 25 წელი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი იაპონიის ეროვნული დღესასწაულისადმი მიძღვნილ საზეიმო მიღებას დაესწრო. გიორგი კვირიკაშვილმა, საქართველოს მთავრობის სახელით, იაპონელ ხალხს, ქვეყნის ეროვნული დღესასწაული — იმპერატორის დაბადების დღე მიულოცა და ორი ქვეყნის კავშირებზე ისაუბრა.

„საქართველოს და იაპონიას მრავალსაუკუნოვანი ისტორია და ტრადიციების მიმართ ერთგულება აერთიანებთ. თანამედროვე ეპოქაში, ჩვენს ქვეყნებს აკავშირებს ფუნდამენტური ღირებულებები — დემოკრატია, თავისუფლება, ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა. მოხარული ვარ, რომ ჩვენი თანამშრომლობა, ყოველწლიურად, სწორედ აღნიშნულ პრინციპებზე დაყრდნობით ვითარდება. დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან, იაპონია და საქართველო ერთგულ პარტნიორებს წარმოადგენენ. ჩვენთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია ის ურყევი პოზიცია, რომელიც იაპონიის მთავრობას საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ აქვს. დიდად ვაფასებთ იაპონიის და იაპონელი ხალხის უმნიშვნელოვანეს მორალურ და მატერიალურ თანადგომას, რომელსაც წლების განმავლობაში, განსაკუთრებული წვლილი შეაქვს საქართველოს ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების პროცესში“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ხელსაყრელი ბიზნესგარემო და საინვესტიციო პოტენციალი, ასევე, მჭიდრო ხალხთაშორისი კავშირები, არსებული თანამშრომლობის ახალი მიმართულებების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

„2017 წელს ჩვენ აღვნიშნავთ საქართველოსა და იაპონიას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან 25 წლის იუბილეს. ამ ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად, დაგეგმილია მთელი რიგი ღონისძიებებისა, როგორც საქართველოში, ასევე — იაპონიაში. დარწმუნებული ვარ, 2017 წელს ჩვენ განვახორციელებთ მსხვილ ეკონომიკურ პროექტებს ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის, ტურიზმის, გარემოს დაცვისა და სხვა სფეროებში. მომავალი წელი განსაკუთრებული უნდა გახდეს ორმხრივი სავაჭრო ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების თვალსაზრისით“, — განაცხადა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილმა მადლობა გადაუხადა საქართველოში იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, ტოშიო კაიტანის, რომელსაც, საელჩოს თანამშრომლებთან ერთად, აქტიური წვლილი შეაქვს ორი მეგობარი ერის უფრო მეტად დაახლოების პროცესში.

ირაკლი კობახიძე ადასტურებს, რომ საქართველოს პრეზიდენტს კიდევ ერთი უფლება ეზღუდება

პარლამენტის **თავმჯდომარემ გუშინ ჟურნალისტებს დაუდასტურა, რომ საპარლამენტო უმრავლესობა „ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონში ცვლილებების ინიცირებას გეგმავს და აღნიშნული პროექტი მზად არის.** პროექტის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტს ბანკის ვიცე-პრეზიდენტების წარდგენის უფლებამოსილება აღარ ექნება. ირაკლი კობახიძე ამბობს, რომ ინიციატივა თავად პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხრიდან წამოვიდა.

არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა მჭიდრო რეჟიმში გაგრძელდება

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, არასამთავრობო ორგანიზაციებთან გამართულ შეხვედრაზე ბევრი კონკრეტული საკითხი განიხილეს. ირაკლი კობახიძის თქმით, თანამშრომლობა მჭიდრო რეჟიმში გაგრძელდება:

„არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრა ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო. ჩვენ მათ ის გეგმები გავაცანით, რომლითაც მუშაობას ვიწყებთ. წარმოდგენილი იყო კონკრეტული ინიციატივები. შევჯერდით შემდგომი თანამშრომლობის გეგმებზე, პერსექტივებზე. მათთან თანამშრომლობა მჭიდრო რეჟიმში გაგრძელდება“, — განუცხადა ჟურნალისტებს ირაკლი კობახიძემ.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის მოხელეებმა უნდა იცოდნენ, რისი თქმის უფლება აქვთ

პარლამენტის თავმჯდომარემ პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მხრიდან გაკეთებულ შეფასებებს, საკონსტიტუციო კომისიის ვიწრო პოლიტიკური ხედვით შექმნის შესახებ, „არაკორექტული“ უწოდა და განაცხადა, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციის მოხელეებმა **უნდა იცოდნენ, რისი თქმის უფლება აქვთ.**

„საკონსტიტუციო კომისიის შექმნის შესახებ პარლამენტის დადგენილების პროექტი ითვალისწინებს კომისიაში პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მუშაობას. ჩვენ დავალდებით მათ წარდგენას. რაც შეეხება საკონსტიტიციო კომისიის ე.წ. ლეგიტიმაციის საკითხს, საერთოდ არ მესმის ეს სიტყვა რა კავშირშია საკონსტიტუციო კომისიასთან — ლეგიტიმაციის კუთხით არანაირი პრობლემა არ შეიქმნება“, — განაცხადა კობახიძემ.

მიროსლავ ლაიჩაკი: ვიზალიბერალიზაციის საკითხზე უკვე ყველაფერი შეთანხმებულია

ევროკავშირის **თავმჯდომარე ქვეყნის, სლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მიროსლავ ლაიჩაკი საქართველოსთვის სავიზო რეჟიმის გაუქმების გზაზე დაბრკოლებებს ვერ ხედავს.** ამის შესახებ მიროსლავ ლაიჩაკმა ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის დაწყებამდე ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, საქართველოს ვიზალიბერალიზაციის საკითხზე ტრიალოგი 13 დეკემბერს გაიმართება, 20 დეკემბერს კი აღნიშნულ საკითხს ევროკავშირის მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტი (COREPER) განიხილავს.

„მოხარული ვარ შეჩერების მექანიზმთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევის გამო. ხვალ გვაქვს ტრიალოგის ფარგლებში შეხვედრა ევროპარლამენტთან და ეს საკითხის დღის წესრიგში 20 დეკემბერის შეხვედრაზეც იქნება. ჩვენ დაბრკოლებებს ვერ ვხედავთ, ქართველი ხალხი უვიზო რეჟიმს ძალიან მალე მიიღებს“, — განაცხადა სლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

მინისტრის თქმით, საქართველოს ვიზალიბერალიზაციის საკითხზე უკვე ყველაფერი შეთანხმებულია, ღია კითხვები აღარ არსებობს.

კითხვაზე- მოესწრება თუ არა პროცესის დასრულება წლის ბოლომდე, ლაიჩაკმა უპასუხა, რომ ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა რთულია, რადგან არსებობს პროცედურები.

ქვესადგურ „მარნეული 500“-ის მშენებლობა დასრულდა

თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ქვესადგური „მარნეული 500“, რომელიც თბილისის და ქვემო ქართლის ელექტრომომარაგებას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს, დასრულებულია, “ პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“, „რეგიონული ელექტროგადაცემის გაუმჯობესების პროექტის“ ფარგლებში, აზიის განვითარების ბანკის (ADB) ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა. ქვესადგურის მშენებლობის დასრულებისადმი მიძღვნილ ღონისძიებას გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი და ვიცე-პრემიერი, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე დაესწრნენ.

„მარნეული 500“-ის მშენებლობის პროექტის ღირებულებამ 20 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი — ასე შეაფასა მთავრობის მეთაურმა ახალი ქვესადგურის მშენებლობის დასრულება.

პრეზიდენტის ადმინისტრაცია საკონსტიტუციო კომისიაში მონაწილეობაზე უარს აცხადებს

საქართველოს პრეზიდენტი და პრეზიდენტის წარმომადგენლები თავს შეიკავებენ საკონსტიტუციო კომისიაში მონაწილეობის მიღებისგან, — ამის შესახებ განცხადება პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა გიორგი აბაშიშვილმა გააკეთა.

მისი განმარტებით არც საქართველოს კონსტიტუციაში და არც სხვა საკანონმდებლო აქტებში არ არის გაწერილი საკონსტიტუციო კომისიის შექმნის ან კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტის მომზადების წესი. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ცალსახად მოკლებულია პოლიტიკურ ნდობას და პოლიტიკურ ლეგიტიმაციას, საკითხთა განხილვის დემოკრატიულობას, არ არის ორიენტირებული ფართო კონსენსუსის მიღწევაზე და აქ მეტი აქცენტია ერთპიროვნული და ერთპარტიული გადაწყვეტილებების მიღებაზე.

15 დეკემბრიდან 9 იანვრამდე პირადობის მოწმობა უფასოდ გაიცემა, ხოლო ბიომეტრიული პასპორტი 100 ლარის ნაცვლად 50 ლარი ეღირება

— ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. როგორც წულუკიანმა აღნიშნა, იუსტიციის სამინისტრომ მოქალაქეებისთვის საახალწლო აქცია გამოაცხადა.

„ჩვენ უკვე მეხუთე წელია, ვაგრძელებთ საარჩევნო სიის დახვეწას და იმ პრინციპის უზრუნველყოფას ჩვენს ქვეყანაში, რასაც ჰქვია ერთი ამომრჩეველი, ერთი საბუთი, ერთი ხმა. იუსტიციის სამინისტრო აქტიურად მუშაობს, რომ ვიზალიბერალიზაციის საკითხი წარმატებულად დასრულდეს ჩვენი ქვეყნისთვის. ამ ორი მიზნის მისაღწევად ჩვენ გადავწყვიტეთ, საახალწლოდ მოქალაქეებისთვის აქცია გამოვაცხადოთ, რომლებისთვისაც 15 დეკემბრიდან 9 იანვრამდე პირადობის მოწმობფ იქნება უფასო, ხოლო ბიომეტრიული პასპორტი შესაძლებელი იქნება ავიღოთ 100 ლარის ნაცვლად 50 ლარად. ძალიან მნიშვნელოვანია კარგად გავიაზროთ, რას ნიშნავს ვიზალიბერალიზაცია, აუცილებელია, რომ უვიზო კავშირი ევროპის ქვეყნებთან გამოვიყენოთ, რათა საკუთარი თავი და ქვეყანა ღირსეულად წარმოვაჩინოთ. დათქმულ დროს დავბრუნდეთ საქართველოში და არ გავხდეთ კანონის დამრღვევი. ამისთვის კი ბიომეტრიული პასპორტი არის აუცილებელი“, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

თბილისის ბიუჯეტის პრიორიტეტები

დედაქალაქის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა მერის მოადგილემ ირაკლი ლექვინაძემ. მან დოკუმენტის მიხედვით გათვალისწინებულ პრიორიტეტებზე ისაუბრა და განმარტა, რა მიმართულებებზე დაიხარჯება თანხა.

„2017 წლის ბიუჯეტის მოცულობა არის 801 მილიონი ლარი. ბიუჯეტში მთავარი პრიორიტეტები არის ტრანსპორტის მიმართულება და განსაკუთრებით, მეტროპოლიტენი. 30 მილიონ ლარზე მეტის ინვესტიცია ჩაიდება. ასევე, პრიორიტეტია საგზაო ინფრასტრუქტურა, ეკოლოგია და, ასევე, სოციალური მიმართულებები“, — აღნიშნა ირაკლი ლექვინაძემ.

◎ გამოძახილი

აურზაური მარიხუანას გამო

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, პოლიტიკური მოძრაობა „გირჩი“ გვირჩევს, ლმობიერად მოვეპყრათ მარიხუანას მომხმარებლებს. ანუ, ადამიანი, რომელმაც „უნებლიედ“ ან თუნდაც ნებით, გააბოლა მარიხუანა, არ უნდა დაიჭირო, არ უნდა გამოამწყვდიო ციხეში! ზოგადად ჰუმანური კი არა, კონკრეტულად ნორმალურია ასეთი პოზიცია. ციხე რატომ უნდა ახეხინო საკუთარი ჯანმრთელობის მტერს? იმიტომ, რომ სხვებს აძლევს ცუდ მაგალითს? გადამდებია მისი საქციელი? გადამდები სიგარეტის მოწევაც შეიძლება იყოს (რომელიც თავისთავად არის მავნე ჩვევა), ან ალკოჰოლის თუნდაც მცირე დოზით მიღება, მაგრამ ამისთვის ხომ არავის იჭერენ?

მნიშვნელოვანია ისიც, რომ მარიხუანას დეკრიმინალიზაციის შემთხვევაში, ერთხელ და სამუდამოდ შეწყდება ეჭვები იმის თაობაზე, რომ მავანს მარიხუანას ეწ. „ჩეკები “ ჩაუდეს.

ასე რომ, მარიხუანას მოხმარების დეკრიმინალიზაცია და არა ლეგალიზაცია, მისაღები პოზიციაა. „გირჩი“ მარიხუანას მოხმარების ლეგალიზაციასაც ითხოვს. ეს სხვადასხვა რამეა! დეკრიმინალიზაცია ნიშნავს იმას, რომ მარიხუანას მომხმარებელს არ სჯი, მოწევას კრიმინალად არ უთვლი. ლეგალიზაცია კი „მწვანე შუქის“ ანთებას, ამ საქმიანობის, ამ წარმოების, ამ ბიზნესის სრულ თავისუფლებას ნიშნავს. იმგვარ პირობებს, როცა მარიხუანა გაიყიდება მარკეტებში ისე თავისუფლად, როგორც სიგარეტი! ეს კი სრულიად მიუღებელი უნდა იყოს ჩვენი საზოგადოებისათვის. ამასთანავე, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ლიბერალიზმი, ანუ დეკრიმინალიზაცია მარიხუანას მოხმარების საკითხში, უსათუოდ გამოიწვევს მარიხუანას გამსაღებელთა მომრავლებასაც. მათ მიმართ სასჯელის გამკაცრება საქმეს ვერ უშველის (სასჯელი ამ მხრივ ისედაც საკმაოდ არის გამკაცრებული), მაგრამ ეს სხვა მსჯელობის საკითხია. მოკლედ, მეტი დაფიქრებაა საჭირო. „გირჩის“ თამამი განაცხადი კი იმის შესახებ, რომ თურმე ახალი წლის ღამეს დემონსტრატიულად, ტელეკამერების წინ, მთავრობის მიმართ პროტესტის ნიშნად (თუმცა, მთავრობის პოზიციაზე შეიძლება საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილიც აღმოჩნდეს), დათესავენ მარიხუანას, რბილად რომ ვთქვათ, არასერიოზული ჩანაფიქრია.

მზია გელენავა

◎ ჯერ კონკრეტული პასუხი არ აქვთ

დენის ტარიფი დიდხანს ვერ შენარჩუნდება?!

ენერგეტიკის სამინისტროში და სემეკში ირწმუნებიან, რომ დენი არ გაძვირდება, თუმცა ენერგოკომპანიები გადაწყვეტილად ჯერ ვერაფერს ამბობენ. ზოგადი ფონი კი ისეთია, რომ თუ ამჯერად მოსახლეობა ტარიფის გაზრდას გადაურჩა, მომავალში იგი, ალბათ, მაინც შეიცვლება.

სემეკმა „თელასისა“ და „ენერგო-პრო ჯორჯიას“ საინვესტიციო გეგმებზე იმსჯელა და კომპანიების 2017 წლის საინვესტიციო მოცულობები დაადგინა. კომისიამ „თელასს“ მოთხოვნილი 42 მილიონი ლარიდან 28 მილიონი ლარის, ხოლო „ენერგო-პრო ჯორჯიას“ კი 51 მილიონის საინვესტიციო გეგმა დაუმტკიცა.

ინვესტიციები სამომხმარებლო ტარიფის დადგენის ერთ-ერთი კომპონენტია, თუმცა 2016 წელთან შედარებით გაზრდილი საინვესტიციო გეგმა მოახდენს თუ არა გავლენას ტარიფებზე, კომპანიებს კონკრეტული პასუხი არ აქვთ.

როგორც „ენერგო-პრო ჯორჯიას“ რეგულირების მენეჯერი აცხადებს, მათ მიერ წარმოდგენილი ინვესტიციები ტარიფებზე მნიშვნელოვნად არ აისახება.

„ინვესტიცია ეს არის თავისთავად ტარიფის ერთ-ერთი კომპონენტი. ჩვენი ქსელიდან გამომდინარე, ალბათ, მეტი ინვესტიციაა საჭირო, თუმცა ჩვენ ვეცადეთ და ისეთი მოცულობის ინვესტიცია წარმოვადგინეთ სემეკში, რომელიც მნიშვნელოვნად არ აისახება ტარიფზე და მოსახლეობას არ დააწვება“, — განაცხადა მათიაშვილმა.

მისივე თქმით, სატარიფო განაცხადი არ ითვალისწინებს კონკრეტული ციფრის მოთხოვნას.

„ჩვენ წარმოვადგინეთ ყოველწლიურად კანონმდებლობით გათვალისწინებული მონაცემები. აქედან გამომდინარე, გამიჭირდება ახლა კომპანიამ დაასახელოს, გაიზრდება თუ შემცირდება, ეს დამოკიდებულია სემეკზე. შესაბამისად, კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას“, — განაცხადა მათიაშვილმა.

„თელასის“ კომერციული დირექტორის მოადგილე მიხეილ ანთაძე ამტკიცებს, რომ სატარიფო განაცხადი, რომელიც მარეგულირებელ კომისიაში „თელასმა“ შეიტანა, არ ითვალისწინებს ტარიფის ან მომატებას, ან მოკლებას. ეს არის ჩვეულებრივი სტანდარტული ფორმა, რომელიც ყოველწლიურად წარედგინება სემეკს.



„ჩვენ მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ხდება სწორედ კომისიის მხრიდან ტარიფის დაანგარიშება, დათვლა და ამის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ინვესტიციები, რომლის შესახებაც კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება“, — განაცხადა ანთაძემ და დასძინა, რომ არ იცის, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს ტარიფებთან დაკავშირებით კომისია.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრის, გოჩა შონიას განცხადებით, სამომხმარებლო ტარიფების ზრდის ტენდენცია არ არის, თუმცა ეს საკითხი კომისიის სხდომაზე საბოლოოდ რამდენიმე დღეში იქნება გატანილი.

„კომისიაში შემოსულია სატარიფო განაცხადები როგორც გენერაციის, ასევე გადაცემისა და განაწილების სექტორებიდან. დაახლოებით 20-მდე სატარიფო განაცხადია შემოსული. რაც შეეხება სამომხმარებლო ტარიფებს, წინასწარ რასაც ვხედავთ ტენდენციას და რასაც ჩვენ კონსულტაციებს გავდივართ დეპარტამენტებთან ერთად, არის ის, რომ სამომხმარებლო ტარიფების ზრდის ტენდენცია არ არის, თუმცა ეს საკითხი საბოლოოდ კომისიის სხდომაზე რამდენიმე დღეში იქნება გამოტანილი და სწორედ მაშინ მიიღებს კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას“, — განაცხადა შონიამ.

წყალმომარაგების კომპანიებიდან სემეკში შესულია 3 სატარიფო განაცხადი. ესენია - „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“, „რუსთავის წყლისა“ და „მცხეთის წყლის“ სატარიფო განაცხადები.

„წყალთან მიმართებაშიც მიმდინარეობს მუშაობა დეპარტამენტის მიერ და დეკემბრის ბოლოსთვის ეს საკითხიც იქნება გამოტანილი სხდომაზე“, — განუცხადა „ბიპიენს“ შონიამ.

ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე დარწმუნებულია, რომ ამ ეტაპზე ელექტროენერგიაზე ტარიფის ზრდა მოსალოდნელი არ არის.

„ბოლო დროს ჩვენ ხშირად ვისმენთ განცხადებებს იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს ელექტროენერგიაზე მოხდება ფასების ზრდა. თქვენ იცით, რომ ეს არის სემეკის პრეროგატივა, თუმცა ამ ყველაფრის მიუხედავად ჩვენც, ენერგეტიკის სამინისტროში ვაკეთებთ გათვლებს. დღევანდელი გადმოსახედიდან შემიძლია გითხრათ, რომ ელექტროენერგიაზე ფასების ზრდა არ არის მოსალოდნელი“, — განაცხადა კალაძემ და იქვე დასძინა, რომ თუკი მომავალი წლების განმავლობაში იქნება იმის საჭიროება, რომ ელექტროენერგიაზე ტარიფის გადახედვა მოხდეს, ამ პროცესს მსვლელობა აუცილებლად მიეცემა.

„ჩვენ არ დავუშვებთ იმას, რომ კომპანიები გაკოტრდნენ და ენერგეტიკა დაინგრეს. გახსოვთ, გასულ წელს ჩემი განცხადებები ამასთან დაკავშირებით. ბევრი საუბარი იყო, რომ ტარიფი არ გაგვეზარდა, მაგრამ ეს იქნებოდა დიდი პრობლემა მთლიანად სექტორისთვის. მარეგულირებელმა კომისიამ იმუშავა და 30%-ით მოხდა ტარიფის მატება. თუ მომავალი წლების განმავლობაში იქნება იმის საჭიროება, რომ ელექტროენერგიაზე ტარიფის გადახედვა მოხდეს, ეს აუცილებლად მოხდება“, — განაცხადა კალაძემ.

ბექა დანელია

გიორგი კვირიკაშვილი: გაუგებარია, რატომაა რუსეთი შეშფოთებული

გერმანული გაზეთის „DIE ZEIT“-ის კორესპონდენტი ალისა ბოტა საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს ესაუბრება აშშ-სთან, ევროკავშირთან, ნატოსთან, რუსეთთან ურთიერთობაზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ინტერვიუს ტექსტს მცირეოდენი შემოკლებით.

„Die Zeit“: საქართველო ორიენტირებულია დასავლეთზე, მაგრამ ევროკავშირი დასუსტებულია, აშშ-ის პრეზიდენტად კი დონალდ ტრამპი აირჩიეს. ხომ არ ღელავთ ამის გამო?

გიორგი კვირიკაშვილი: — ჩვენ მხარს გვიჭერს აშშ-ის სენატი და საერთოდ, კონგრესი. ორივემ არაერთხელ გამოხატა მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომაც ჩვენს რეგიონში ამერიკის შეერთებული შტატების როლის რაიმე დიდ და მნიშვნელოვან სტრატეგიულ ცვლილებებს არ ველოდებით.

— არ ფიქრობთ, რომ საქართველოს სურვილი ნატოში გაწევრიანებაზე ახლა უკვე ჩიხშია შესული?

— სულაც არა. ჩვენ ნატოს არსებითად ვუჭერთ მხარს. ჩვენი გადაწყვეტილება შეუქცევადია. ჩვენ გვსურს გავწევრიანდეთ როგორც ნატოში, ისე ევროკავშირში, თუმცა ზოგიერთი მოვლენა, მაგალითად, ვიზალიბერალიზების დაგვიანება, რასაკვირველია, საწყენია. ამასთან, მინდა ვთქვა, რომ ჩვენი ბრიუსელელი მეგობრები ყველაფერს აკეთებენ ამ პროცესის წინსვლისათვის.

— საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის დაყოვნებაში გერმანიას არცთუ უმნიშვნელო როლი აქვს შესრულებული, თუმცა ეს მას შემდეგ მოხდა, როცა მასმედიით გავრცელდა ინფორმაცია საქართველოს როგორც ქურდების, ჯიბგირებისა და თაღლითების ქვეყნის შესახებ...

— რა თქმა უნდა, ჩვენთვის ასეთი ცნობები ძალიან მტკივნეული იყო. ამასთან, ფაქტები დამახინჯებული სახით გავრცელდა, სტატისტიკაც მაინცდამაინც ზუსტი არ იყო. თუმცა ჩვენ ამ საკითხს სერიოზულად მივუდექით — ბერლინში არსებულ საქართველოს საელჩოში პოლიციის ატაშე გავგზავნეთ, ჩვენი ძალოვანი სტრუქტურები გერმანელ კოლეგებთან ახლა ამ მიმართულებით ყველა დონეზე მჭიდროდ მუშაობენ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი რამდენჯერმე იმყოფებოდა გერმანიაში და სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით ჰქონდა მოლაპარაკება. პოლიტიკური თვალსაზრისით ჩვენ გერმანიასთან სტრატეგიული თანამშრომლობისაკენ მივისწრაფვით, რაც იმასაც ნიშნავს, რომ ამგვარ მოვლენებზე რეაგირება მოვახდინოთ.

— ქართველი ჯარისკაცები მონაწილეობენ როგორც ნატოს ეგიდით მიმდინარე ავღანეთის მისიაში, ასევე ალიანსის სწრაფი რეაგირების ძალებში. საქართველომ ევროკავშირის ყველა მოთხოვნა შეასრულა, მაგრამ ვიზალიბერალიზება ჯერ მაინც ვერ მიიღო. როგორ ფიქრობთ, ევროსტრუქტურები დადებითად პასუხობენ თქვენს სწრაფვას დასავლეთისაკენ?

— ჩვენს მიერ განხორციელებული რეფორმები მხოლოდ ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებას არ ემსახურება. გვინდა, რომ საქართველო უფრო განვითარებულ ქვეყნად გადაიქცეს და მოსახლეობის ცხოვრების დონე ამაღლდეს. ჩვენთვის პროცესი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მიზანი.

— ბოდიში, მაგრამ იქნებ განმარტოთ, როგორ ამაღლდება საქართველოს მოქალაქეების ცხოვრების დონე ქვეყნის ნატოში გაწევრიანებით?

— ჩვენ შესაძლებლობა გვექნება გავაუმჯობესოთ თავდაცვის სტრუქტუტურები. საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა ეკონომიკური ზრდისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს. საქართველოსთვის დასავლეთის ქვეყნების მხარდაჭერა სამხრეთ კავკასიის რეგიონში რუსეთის ამბიციების შეკავება-შეზღუდვის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

— თქვენი აზრით, რა ამბიციები აქვს რუსეთს რეგიონში?

— საქართველოს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობის რთული ისტორია აქვს, მაგრამ ამ კონფლიქტების უკან რუსეთი დგას. მოსკოვის ჩარევას უდიდესი ნეგატიური მნიშვნელობა გააჩნია. სწორედ ახლახან გავხდით იმის მოწმე, თუ როგორ მოეწერა ხელი შეთანხმებებს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან...

...საქართველოს რეგიონებთან, რომლებიც რუსეთმა 2008 წელს დაიკავა და რომლებიც დღემდე დამოუკიდებლად აღიარა მხოლოდ ოთხმა სახელმწიფომ, მათ შორის რუსეთმაც...

— დიახ, საქართველოს ეს რეგიონები სულ უფრო მეტად ინტეგრირებულნი ხდებიან რუსეთის პოლიტიკურ და სამხედრო სისტემაში.

— თქვენ მხედველობაში გაქვთ სამხედრო თანამშრომლობის შეთანხმება, რომელიც რამდენიმე დღის წინათ გაფორმდა აფხაზეთსა და რუსეთს შორის?

— არა მხოლოდ ის! რუსეთის მოქმედება ამ ორი რეგიონის ანექსიის მიზნით მრავალწახნაგოვანია და პროვოკაციული ხასიათი აქვს. ამის მიუხედავად, ჩვენ ვცდილობთ შევამციროთ დაძაბულობა და თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი მტრული და აგრესიული რიტორიკა, თუმცა, სამწუხაროდ, რუსი პოლიტიკოსებისაგან საპასუხო ნაბიჯებს ვერ ვხედავთ. ამასთან, მუდმივად ვიმეორებთ, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანება არ არის მიმართული რუსეთის წინააღმდეგ. ჩვენ რუსეთთან თანამშრომლობა გვსურს და ამაში ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ ვხედავთ დასავლეთთან ინტეგრირების გზაზე.

— რუსეთი აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მიმართებით აცხადებს, რომ საქართველო ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარეშე ნატოს წევრი ვერ გახდება. უფრო კარგი არ იქნება, რომ საქართველომ უარი თქვას ალიანსში გაწევრიანების სურვილზე?

— ნატოში გაწევრიანება ტერიტორიულ მთლიანობასთან არ უნდა იყოს დაკავშირებული. ჯერ ერთი, რომ ჩვენ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მხოლოდ მშვიდობიანი გზით გვსურს და შესაბამისად, ამ მიზნის მისაღწევად სამხედრო მეთოდს გამოვრიცხავთ, თანაც სამუდამოდ. მეორე მხრივ, ჩვენ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მხოლოდ ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღდგენა-განმტკიცებით შეგვიძლია. ნატოში გაწევრიანებას ამასთან კავშირი არ აქვს. ალიანსთან თანამშრომლობაში ჩვენ მხოლოდ სამხედრო ფარს არ ვგულისხმობთ...

— მაშ რა გაქვთ მხედველობაში?

— საძმე ფასეულობებშია! ნატოში ინტეგრირება დემოკრატიული ინსტიტუტებისათვის გვსურს! საძმე ეხება იმას, თუ რომელ კლუბს მიეკუთვნები. საქართველომ გადაწყვიტა, რომ ევროპულ და ტრანსატლანტიკურ კლუბში გაწევრება სურს. ეს იმას ნიშნავს, რომ ნატოსა და ევროკავშირის სტანდარტების შესაბამის ქვეყანას ვაშენებთ. გარდა ამისა, აქ ერთგულების საკითხიც დგას: საქართველოს სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის, ნატოსა და აშშ-ის ერთგული პარტნიორის პოზიცია უკავია. ერთგულება ჩვენი პრინციპული გადაწყვეტილებაა. ასევე ვცდილობთ მჭიდრო ურთიერთობა დავამყაროთ აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან - ჩინეთთან, ცენტრალური აზიის ქვეყნებთან, აგრეთვე ირანთან. ჩვენ მზად ვართ დახმარება გავუწიოთ ევროპელებს მათთან ურთიერთობის გაღრმავებაში.

იხ. 4 გვ.

◎ დაზღვევა

დიდი ცვლილება საყოველთაო ჯანდაცვაში

პროგრამა მომავალი წლიდან მნიშვნელოვნად იცვლება. კერძო დაზღვევის მფლობელი ადამიანები სახელმწიფო პროგრამიდან ამოვარდებიან, ხოლო არაკეთილსინდისიერ კლინიკებთან მთავრობა აღარ ითანამშრომლებს.

535 ათასი ადამიანი, რომელიც კერძო დაზღვევის პარალელურად, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამითაც სარგებლობდა, სამომავლოდ იგივე მომსახურებას ვეღარ მიიღებს. მათ არჩევანის გაკეთება ერთ რომელიმე მომსახურებაზე მოუწევთ. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს ყოველი მეშვიდე მოქალაქის დაზღვევაზე სახელმწიფო აღარ იზრუნებს. პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, აკაკი ზოიძის განცხადებით, შეიცვლება დაფინანსების მეთოდები, ხოლო შეძლებული მოქალაქეები საკუთარ ჯანმრთელობაზე მეტ პასუხისმგებლობას აიღებენ. ჯერჯერობით მსჯელობა მიმდინარეობს მეორე საკითხზე — ჯანდაცვის დაფინანსების მოქალაქეთა შემოსავლებზე „მიბმა“.

„ვისაც აქვს კერძო დაზღვევა, ის საყოველთაო დაზღვევას აღარ მიიღებს. კერძო კომპანია გადაუდებელი შემთხვევების 90%-ის შემთხვევაში ამბობს: „ჯერ საყოველთაო აგინაზღაუროს და რაც დარჩება, აგინაზღაურებ მე“, — აი, ეს აღარ იქნება. ორმაგი ხარჯი გამოდის. რეალურად 535 ათასი ადამიანი დაზღვეულია კერძო სტრუქტურაში და ასევე საყოველთაო ჯანდაცვას იყენებს. აი, ეს გაიმიჯნება“, — განაცხადა ზოიძემ.

კერძო მზღვეველები ასეთი ცვლილების შემდეგ, მომსახურების გაძვირებას პროგნოზირებენ. „ესპ დაზღვევის“ დირექტორი ვლადიმერ ბეჟაშვილი განმარტავს, რომ აღნიშნული ინიციატივა პაკეტებს დაახლოებით 25 პროცენტით გააძვირებს. მისი თქმით, ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა პაკეტები აქვთ სადაზღვევო კომპანიებს გაყიდული.

„ამ პროდუქტის ძირითადი, საბოლოო ბენეფიტი სტაციონარის მიმართულებაა. შესაბამისად, ჩვენს სადაზღვევო პორტფელებში სტაციონარს მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია. გაორმაგებული ფასები არ იქნება, თუმცა მნიშვნელოვანი ზრდა აუცილებლად მოხდება. ფასების დაახლოებით 20-25-პროცენტიან ზრდას უნდა ველოდოთ“, — აცხადებს ბეჟაშვილი.

მისივე შეფასებით, უფრო სწორი იქნება, რომ მოხდეს გამიჯვნა შემოსავლების მიხედვით. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ ადამიანებს მიეცეთ არჩევანის საშუალება.

„შესაძლოა, ადამიანს არ აქვს სურვილი კერძო დაზღვევით ისარგებლოს, ან პირიქით“, — აცხადებს ბეჟაშვილი.

მისი განცხადებით, საკითხი კომპლექსურადაა გადასაჭრელი. მხოლოდ იმის გამო, რომ ადამიანი კერძო დაზღვევით სარგებლობს, სახელმწიფომ მასზე უარი თქვას, არასწორია.

სადაზღვევო კომპანია „არდის“ ბიზნესის განვითარების დირექტორი მიხეილ ჯაფარიძე „კომერსანტთან“ განმარტავს, რომ ამ ეტაპზე კომენტარის გაკეთება რთულია, რადგან კომპანიისთვის ინიციატივის დეტალები ცნობილი არ არის. ჯაფარიძე ამბობს, რომ საყოველთაო ჯანდაცვისა და კერძო დაზღვევის თანაკვეთა არსებობს, მაგრამ მისი ხვედრითი წილი დიდი არ არის. მისი მტკიცებით, ამოსავალი წერტილი არის ის, რომ სახელმწიფო და კერძო პროგრამების თანაარსებობა ეფექტური უნდა იყოს.

პარალელურად გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაძე, რომ სამედიცინო დაწესებულებების ნაწილი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან ამოვარდება. ხელისუფლება სელექციური კონტრაქტების გაფორმებას იწყებს და სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობა ყველა საავადმყოფოს აღარ შეეძლება. ამ ცვლილებებს საყოველთაო ჯანდაცვის მეორე ფაზა ითვალისწინებს, რომლის განხორციელებასაც მთავრობა იწყებს. ჯერჯერობით უცნობია, რომელი საავადმყოფოები დარჩებიან საყოველაო ჯანდაცვის პროგრამაში.

„ბოლო გარდამავალი ორი წლის გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ აღმოჩნდნენ ისეთი კლინიკები, რომლებიც აწვდიან წყვეტილ, ფრაგმენტირებულ სამედიცინო დახმარებას. მაგალითისთვის, შეიქმნა სამედიცინო დაწესებულება, რომელსაც აქვს მხოლოდ რეანიმაციის განყოფილება. შეიქმნა სამედიცინო დაწესებულება, რომელიც პოლიკლინიკასთან არის მიბმული, ასოცირებული, როგორც გადაუდებელი დახმარების განყოფილება. ასეთი ტიპის სამედიცინო დაწესებულებები საფრთხეს უქმნიან პაციენტის სამედიცინო დახმარებას. ასეთ შემთხვევაში იგი ვერ მიიღებს სრულყოფილ სამედიცინო დახმარებას.

ვეცადეთ გამოგვეყენებინა ინსტრუმენტი სანებართვო პირობების სახით, თუმცა ნაწილი მათგანი თანამშრომლობას დათანხმდა, გაიაზრა, რომ ისინი არასწორი გზით მიდიოდნენ, ნაწილი აგრძელებს ამას. შესაბამისად, სელექტიური კონტრაქტირება ერთეულ სამედიცინო დაწესებულებებს ჩამოაშორებს საყოველთაო ჯანდაცვას“, — განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ.

ასე რომ, სახელმწიფო ითანამშრომლებს ისეთ კლინიკებთან, რომლებიც პაციენტებს მიაწვდიან მაქსიმალურად ხარისხიან და უფასო სამედიცინო მომსახურებას. მინისტრის განცხადებით, მისთვის გასაგებია, რომ ეს გადაწყვეტილება ზოგიერთი სამედიცინო დაწესებულებისთვის მიუღებელი იქნება, მაგრამ სახელმწიფო თანხებს მოქალაქეების ჯანმრთელობისთვის ხარჯავს და არა სამედიცინო დაწესებულებების მეპატრონეების შემოსავლებისთვის.

გეძა დანელია

გიორგი კვირიკაშვილი:

ევროპას ნათელი მომავალი აქვს

(მესამე გვერდიდან)

— მოდით, რუსეთს დავუბრუნდეთ. კრემლი აცხადებს, რომ ნატოს მიახლოება რუსეთის საზღვრებთან მოსკოვისათვის საფრთხის შემცველია. თქვენ აცნობიერებთ რუსეთის შიშებს? არ თვლით ამაზე რეაგირებას საჭიროდ?

— ჩვენ ვხედავთ რუსეთის შეშფოთებას, მაგრამ მიზეზებს ვერ ვხვდებით. თუ საქართველო ნატოს წევრი გახდება, რუსეთისათვის ეს საფრთხის მომტანი არ იქნება. ჩვენ ყოველდღიურად ვანიშნებთ რუს პოლიტიკოსებს, რომ საქართველოს რუსეთის მიმართ არავითარი მტრული გრძნობები არ აქვს. მიმდინარე წელს ჩვენ მილიონზე მეტი რუსი ტურისტი მივიღეთ და მათ მიმართ არანაირი სერიოზული ინციდენტი არ მომხდარა. ქართველებსა და რუსებს შორის არ არსებობს არავითარი ფუნდამენტური მტრობა და ჩვენი ლტოლვა ნატოში გაწევრიანებისაკენ ანტირუსულ ქმედებად არ უნდა იყოს მიჩნეული. ჩვენ ვცდილობთ ამის ახსნას რუს პოლიტიკოსებისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ვერ ხვდებიან.

— საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რუსეთის მიმართ ძალიან აგრესიულად გამოდიოდა, თქვენ კი დაძაბულობის დეესკალაციას ცდილობთ, თუმცა, როგორც ჩანს, სიტუაცია მაინცდამაინც დიდად არ შეცვლილა...

— მე არ ვიტყოდი, რომ ჩვენმა სტრატეგიამ არ გაამართლა. პოლიტიკური თვალსაზრისით შესაძლოა ნაკლები პროგრესია, თუმცა ცვლილებები აშკარაა. ჩვენ ერთმანეთთან ეკონომიკური ურთიერთობა დავიწყეთ, რუსული ბაზარი ქართული პროდუქციისათვის ღიაა. მთლიანობაში ჩვენ ბოლო წლების მანძილზე სტაბილურობის მნიშვნელოვან დონეს მივაღწიეთ. ცხადია, ეს ყველაფერი ჯერ ყოვლისმომცველ სტაბილურობას არ ნიშნავს, რადგან ჩვენი ტერიტორიის ნაწილი ისევ ოკუპირებულია, თუმცა სიტუაცია ისეთი აღარაა, რომ ყოველდღიურად რუსეთის თავდასხმას ველოდოთ.

— ანუ, გამოდის, რომ ამჟამად საქართველო თავს უსაფრთხოდ გრძნობს?

— როგორ შეიძლება თავი უსაფრთხოდ ვიგრძნოთ, როცა ჩვენს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზებია განლაგებული? როცა ჩვენს მოქალაქეებს იმ ე.წ. „საზღვრის“ გადაკვეთის გამო აკავებენ, რომელსაც ჩვენ საზღვრად არ ვაღიარებთ? მართალია, სამხედრო მოქმედების განახლებას ამჟამად არ ველოდებით, მაგრამ იმის თქმა, რომ თავს უკვე უსაფრთხოდ ვგრძნოთ, ეს გადაჭარბებული იქნებოდა. კი, გარკვეული სტაბილურობის პირობებში ვცხოვრობთ, მაგრამ სიტუაცია კვლავ რთული რჩება. ჩვენ ოკუპირებული სახელმწიფო ვართ, რომელიც ნატოსა და ევროკავშირთან სიახლოვისაკენ ისწრაფვის და იმავდროულად აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზეც ზრუნავს. ეს ჩვენი გადარჩენის სტრატეგიაა. ეს ისაა, რაც ჩვენს მოსახლეობას სურს.

— ქართველების უმრავლესობა მხარს უჭერს მთავრობის პროდასავლურ კურსს, მაგრამ სულ უფრო მეტად ისმის მოთხოვნა რუსეთთან მჭიდრო კავშირების შესახებ. გამოდის, რომ ქართველებმა მოთმინება დაკარგეს?

— ის, რომ ქართველებს რუსეთთან უფრო მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობა, სულ უფრო მეტი ტურისტის ჩამოსვლა სურთ, სულაც არ ნიშნავს ჩვენი საგარეოპოლიტიკური კურსისა და უსაფრთხოების სტრატეგიის შეცვლის მოთხოვნას. ნატოში გაწევრიანებას მხარს უჭერს ქართველების 75%, ხოლო ევროკავშირში შეასვლას - 80%-ზე მეტი.

— თურქეთი ევროკავშირში შესვლის მიზნით ათეული წლების განმავლობაში უშედეგო მოლაპარაკებებს აწარმოებს. საქართველოს ევროკავშირში შესვლის შესაძლებლობასაც არავინ სერიოზულად არ განიხილავს...

— ვერავინ ვერ განჭვრეტს იმას, თუ რა იქნება ხუთი ან ათი წლის შემდეგ. ჩვენ საკუთარი „საშინაო დავალება“ უნდა შევასრულოთ. ამჟამად საქართველოს დღის წესრიგში ოთხი მთავარი პუნქტია: პირველ რიგში, ჩვენ გვსურს, რომ განათლების სისტემის რეფორმირება მოვახდინოთ და თავიდან მოვიშოროთ საბჭოური გადმონაშთები ამ სფეროში; მეორე გვინდა მთავრობის ყველა დონეზე მართვის ისეთი სისტემა შევქმნათ, რომელიც მოქალაქეთა მომსახურებაზე იქნება ორიენტირებული; მესამე — გვსურს იმპულსი მივცეთ ეკონომიკისათვის მატებას, ამისათვის განზრახული გვაქვს მოგების გადასახადის გაუქმება რეინვესტირების შემთხვევაში და მეოთხე — დაგეგმილი გვაქვს ქვეყნის ინფრასტრუქტურის მოდერნიზება, განსაკუთრებით ავტოსტრადების მშენებლობა. ჩვენ ქვეყნის მოკლე დროში შეცვლა გვინდა. ეს ყველაფერი ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

— „ბრექსითი“, მთავრობების უთანხმოება მიგრანტებზე... რატომ გიზიდავთ ასეთი ევროკავშირი?

— მოდით, ოპტიმისტები ვიყოთ! ევროკავშირში ძალიან ბევრი კარგიც არის, უბრალოდ, თვალები მეტად უნდა გავახილოთ.

— და რას ხედავთ თქვენ ისეთს, რასაც მე ვერ ვამჩნევ?

— მაგალითად, ქართველი სტუდენტების შესაძლებლობებს, რომლებიც ევროკავშირის ქვეყნებში სწავლობენ. იფიქრეთ აგრეთვე იმ უფრო მჭიდრო საქმიან ურთიერთობებზეც, რომელიც ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შედეგადაა შესაძლებელი... გაიხსენეთ მესამე ქვეყნები, რომლებთაც ევროკავშირთან ასოცირების მსგავსი შეთანხმება არ აქვთ დადებული, მაგრამ საქართველოს ხევროინტეგრირების გამო ჩვენს ეკონომიკაში ინვესტიციების დაბანდებას ესწრაფვიან....

— კი, ისინი მოხიბლული არიან თავისუფალი ბაზრით, მაგრამ ამჟამად ევროპაში ისეთი ძალები აქტიურდებიან, რომლებიც ასეთ ბაზრებს ხურავენ და საზღვრების აღდგენას გეგმავენ...

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ლიბერალური ეკონომიკა გაიმარჯვებს. ჩვენ მაინც სხვა არჩევანი არ გვაქვს. 3,7 მილიონიანი საქართველო ღია უნდა იყოს, რათა წარმატებას მივაღწიოთ. ჩვენ განუმეორებელი მდებარეობა გვაქვს და თუ უფრო მოქნილები ვიქნებით, ტიპიური ევროპული ქვეყნების მსგავსად, საქართველო საერთაშორისო ეკონომიკისათვის იდეალური ადგილი გახდება.

— მაგრამ ევროპა...

— ევროპა ძალიან კარგ შესაძლებლობებს გვთავაზობს. ჩვენ, რომლებიც ევროპული ფასეულობებისა და სტანდარტებისაკენ მივისწრაფვით, უფრო მეტად ვგრძნობთ მათ დადებით მნიშვნელობას, ვიდრე ტიპიური ევროპელები.

— ისინი ისეთ ნეოლიბერალურ იდეებს აქებენ, რომლებმაც, ზოგიერთის აზრით, ევროპას კრიზისი მოუტანა...

— მე ამას კრიზისს არ ვუწოდებდი. განწყობები იცვლება ხოლმე. ასეთი შეხედულებების მიზეზი მიგრანტები არიან. ჩვენ გვესმის იმ პრობლემების მნიშვნელობა, რომლებიც დღეს ევროპის წინაშე დგას და იმასაც ვაცნობიერებთ, თუ რაოდენ ღრმა პრობლემებია ისინი. მაგრამ სწორედ ამიტომაც არ გვეპარება ეჭვი ევროპის მომავლის საკითხში. ევროპას ნათელი მომავალი აქვს. ვიყოთ უფრო ოპტიმისტები!

საქმე ფასეულობებშია! ნატოში ინტეგრირება დემოკრატიული ინსტიტუტებისათვის გვსურს! საქმე ეხება იმას, თუ რომელ კლუბს მიეკუთვნები. საქართველომ გადაწყვიტა, რომ ევროპულ და ტრანსატლანტიკურ კლუბში გაწევრება სურს.

ესაუბრა
ალისა ბოტა.

DIE ZEIT

◎ **როცა ყველა თავისას მიერეკება!..**

მშენებლებს ლარში ფასის დაწესება არ მოსწონთ

რობორც აღმოჩნდა, დეველოპერებს უძრავი ქონების ფასის ლარში მითითება მაინც და მაინც არ მოსწონთ და უკვე მთავრობის გადაწყვეტილების კრიტიკაც გაისმა. მთავრობა უკან დახევას არ აპირებს, მშენებლები კი ჯერ ნიადაგის მოსინჯვით არიან დაკავებულნი.

პირველად უძრავი ქონების ბაზრის ლარში გადაყვანის თაობაზე განცხადება ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა გააკეთა.

„მთავრობა, ეროვნულ ბანკთან, საჯარო რეესტრთან და კომერციულ ბანკებთან იმუშავებს უძრავი ქონების უსაფრთხო ანგარიშსწორების სისტემით ე.წ. „ესკროუ“ ანგარიშით განხორციელებაზე. ამ შემთხვევაში უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა აღარ იქნება ტრანზაქციულ რისკებთან დაკავშირებული და შეამცირებს დაკავშირებულ ხარჯებს, რაც იქნება დამატებითი სტიმული უძრავი ქონების შესაძენად ლარით ანგარიშსწორებისათვის“, — განაცხადა ქუმსიშვილმა.

ამას რამდენიმე დღეში საქართველოს ეროვნული ბანკის გეგმა მოჰყვა, რომლის მიხედვითაც ორგანულ კანონში მომზადდება ცვლილების პროექტი, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი საქონლის ან მომსახურების ფასის გამოქვეყნება სავალდებულო იქნება ლარით. ეს არ გულისხმობს სხვა ვალუტით ფასის გამოცხადების აკრძალვას. მაგალითად, სამშენებლო კომპანიამ ბინის ფასი უნდა გამოაცხადოს ლარით და, სურვილის შემთხვევაში, მიუთითოს ფასი ნებისმიერი სხვა ვალუტით.

სებ-ის ინფორმაციით, მთავრობისა და ეროვნული ბანკის ხელშეწყობით, კომერციულ ბანკებში დაინერგება უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის დაცული მომსახურება, რომელიც მიზნად ისახავს უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისას საფასურის გადახდისა და ქონების დასაკუთრებასთან დაკავშირებული რისკების აცილებასა და ხარჯების შემცირებას როგორც გამყიდველისთვის ასევე მყიდველისთვის. აღნიშნული მომსახურება განხორციელდება საჯარო რეესტრთან თანამშრომლობით და მომხმარებლისთვის იქნება ნებაყოფლობითი. ეს სერვისი დამატებითი სტიმული იქნება უძრავი ქონების ლარით ანგარიშსწორებისათვის.

ეს სექტორი და ბიზნესი წლების განმავლობაში იყო დოლარში და ახლა ერთი ხელის მოსმით მისი გალარება შეუძლებელია, არ გამოვა.

„პირველადი მშენებლობის ხარჯის უმეტესი ნაწილი არის ეროვნული ვალუტით. ყველა საუბრობს, რომ თუ უძრავი ქონების ფასდადება იქნება ლარით, ეს გაზრდის პროგნოზირებადობას, შეამცირებს ამ ბიზნესში პრობლემებს და რისკებს. მრავალმა ქვეყანამ მიიღო მსგავსი გადაწყვეტილება და საბოლოო ჯამში აისახა იმაში, რომ მოსახლეობამ დაივიწყა უძრავი ქონების ფასები დოლარით და გადაერთო ადგილობრივ ვალუტაზე.

ეს გადაწყვეტილება ნიშნავს, რომ დეველოპერული კომპანია ვალდებული იქნება ფასი მიუთითოს ლარით, თუმცა ამავე დროს ის არ იზღუდება, თუ მას სურვილი ექნება, ფასი მიუთითოს დოლარითაც და ნებისმიერი სხვა ვალუტითაც“, — განაცხადა სებ-ის ვიცე-პრეზიდენტმა არჩილ მესტვირიშვილმა.

მთავრობისა და ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებას პირველი კრიტიკა უკვე მოჰყვა. COLLIERS INTERNATIONALS GEORGIA-ს დირექტორის ირაკლი კილაურიძის აზრით, ახალი რეგულაციები საქართველოს, როგორც საინვესტიციო ბაზრის, მიმზიდველობას შეამცირებს და ცალსახად გამოიწვევს უფრო მეტ დაკვირვებას უცხოელი ინვესტორების მხრიდან. უძრავი ქონების ლარში ფასდადება კი დეველოპერებს რისკებს გაუზრდის.

კილაურიძის განცხადებით, ცვლილებებთან დაკავშირებით სიფრთხილეა საჭირო და ახლა მთავარია ეს ინიციატივა, რა სახით „გადაითარგმნება“ კანონპროექტში. ბიზნესმენი მიიჩნევს, რომ ინიციატივა მოკლევადიან შედეგზეა გათვლილი და გრძელვადიან პერიოდში შეამცირებს საქართველოს უძრავი ქონების ბაზრის საინვესტიციო მიმზიდველობას.

„თუკი დეველოპერებს დაავალდებულებენ, რომ ფასი შესთავაზონ ლარში, მაგრამ დაუტოვებენ უფლებას ეს ფასი რეალურად დოლარს მიაბან შენიღბული ფორმით, მაშინ ამას არანაირი ეფექტი არ ექნება, მაგრამ თუ რეალურად მოუწევთ ლარში ფასების დაფიქსირება და ფასის ცვლილება შეუძლებელი გახდება, მაშინ მნიშვნელოვანი რისკი დგება და საკმაოდ უარყოფით გავლენას იქონიებს ეს დეველოპერებზე. საბოლოოდ, უარყოფითად აისახება უცხოურ ინვესტიციებზე, რომელიც იდება სექტორში“, — განუცხადა „ბიზნეკონტრაქტს“ კილაურიძემ.

რამდენადაც მშენებლობისას ძირითადი ხარჯები უცხოურ ვალუტაშია და დოლარის ეფექტს ამ სექტორში ვერ გავექცევით. **„ეს სექტორი და ბიზნესი იყო დოლარში წლების განმავლობაში და ახლა ერთი ხელის მოსმით მისი გალარება შეუძლებელია, არ გამოვა. შეიძლება ბევრი კომპანია რისკის ქვეშ დადგეს, ვერ მართონ ფინანსური რისკები და მივიღოთ პრობლემური კომპანიები“,** — ამბობს კილაურიძე.

ბექა დანელია

ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი

პატარა უფლისწული

ზღაპარი
ავტორის ნახატებით

ფრანგული ტექსტი
ქართულად გადმოაქცია
გურამ გოგიაშვილმა

V.

ყოველდღე სულ რაღაც ახალს ვიგებდი იმის პლანეტაზე, ისიც შევიტყვე, როგორ დატოვა ის თავისი პატარა ცთომილი და როგორ იხეტიალა არიარეზე. თავის ამბებს პატარა უფლისწული ცოტაცოტაობით მიყვებოდა, სიტყვა რასაც მოიტანდა. უკვე მესამე დღე იყო, რომ გავიგე, რა უბედურებაც შემთხვევოდა ბაობაბებთან.

ამასაც ბატკანს უნდა ვემადლიერებოდე. პატარა უფლისწული უცაბედად მძიმე რამ ეჭვებმა შეიპყრეს და დაგულისყურებულმა მკითხა:

– მითხარი, ბატკნები მართლა ჭამენ ბუჩქებს?

– ჰო, მართლა.

– ძალიანაც კარგი.

მართალი გითხრათ, ვერ მივხვდი, რატომ იყო აგრე მნიშვნელოვანი, რომ ბატკნები ბუჩქებს ჭამენ. მაგრამ პატარა უფლისწულმა დააწონა:

– მაშ, ბაობაბებსაც უნდა ჭამდნენ?

მე შევესიტყვე, რომ ბაობაბები ბუჩქები კი არა, სამრეკლოსხელა უზარმაზარი ხეებია, და სპილოების მთელი ჯოგიც რომ მიუსიოს, ერთ ბაობაბსაც ვერ შეჭამენ-მეთქი.



სპილოების ხსენებაზე პატარა უფლისწულმა გაიცინა:

– იმათი ერთმანეთზე შეყენება მოგვიწევს...

მერე საზრიანად თქვა:

– ბაობაბები თავდაპირველად, სანამ დაიზრდებოდნენ, სულ პატარები არიან, შიმელები.

– მართალი ხარ. მაგრამ რატომ უნდა შეჭამოს შენმა ბატკანმა ბაობაბი?

– რატომაც არა! – წამოიძახა მან, თითქოს უბრალო, ანბანური ჭეშმარიტების უცოდნელობაში მამხილა.

და კარგა გვარიანი თავის მტვრევა დამჭირდა, სანამ მოვიფიქრებდი, რა ჩამიკაკუნა პატარა უფლისწულმა.

პატარა უფლისწულის პლანეტაზე, როგორც სუყოველ სხვა პლანეტაზე, მარგებელი, შემრგო ბალახბულახიც ხარობს და მავნეც, მაწყინარიც. მაშასადამე, იქ ბევრი კარგი თესლია, კარგი მარგებელი ბალახბულახისაც და ცუდი, სარეველა ბალახისაც. მაგრამ თესლი ხომ უხილავია. თესლს ღრმად მიწაში სძინავს, სანამ ერთ-ერთი მარცვალი არ გაიღვიძებს, ღიავს არ გამოიტანს; მერე ის ნელნელა ამოიწვერება, წელში გაიმართება და გაყლორტებული მზისკენ მიიწევს, საყვარლად ნაზი და უწყინარი. ეს თუ მომავალი თვის ბოლოკია ან ვარდის ბუჩქი, იხაროს, მზით იჯანდალოს. ხოლო თუ ეს რომელიმე ცუდი, ავი ბალახია, როგორც კი იცნობ, ძირფესვიანად უნდა ამოგლიჯო. პატარა უფლისწულის პლანეტაზე ბლომად არის საშინელი, სავნო თესლი... ეს ბაობაბის თესლია. პლანეტის მთელი ნიადაგი სულ ერთიანად მოწამლულია იმით. ხოლო ბაობაბი თუ დროულად არ ამოიცანი, მერე, ტყუილია, თავს ვეღარ დააღწევ იმას. ეგრევე მთელ პლანეტას მოედება. სულ ერთიანად დასერავს თავისი ფესვებით. და პლანეტა თუ ძალიან პატარაა, ბაობაბები კი ბევრია, სულ ქუფთა-ქუფთა აქცევენ ამ მცირე ცის სხეულს.

– ერთი ასეთი მტკიცე წესი მაქვს, – მითხრა პატარა უფლისწულმა. – დილით ავდგები თუ არა, პირს დავიბან, თავს მოვიწესრიგებ და მერე უკვე ჩემი პლანეტის მოწესრიგებას მივყოფ ხელს. ბაობაბები აუცილებლად ყოველდღე უნდა გაგლიჯო, როგორც კი უკვე შესაძლებელია იმათი გარჩევა ვარდის ბუჩქებისგან: ყლორტები იმათ თითქმის ერთნაირი აქვთ. ეს ძალიან მოსაწყენი სამუშაოა, მაგრამ სულაც ძნელი არ არის.

ერთხელაც პატარა უფლისწულმა მირჩია, მიდი, აბა, ეცადე და ისეთი სურათი დახატე, რომ ეს თქვენმა ბავშვებმაც კარგად გაიგონონ.

– თუ ოდესმე მოგზაურობა მოუწევთ, –

თქვა მან. – უეჭველად გამოადგებათ. სხვა საქმე ცოტას მოითმენს, არცრა დაშავდება რა. მაგრამ თუ ბაობაბები თავიანთ ნებაზე მიუშვი, უბედურებას ვერ აიცდენ. ერთი პლანეტა ვიცოდი, იქ ერთი წელანგარა ცხოვრობდა, ზარმაცი, იმან თავის დროზე არ ამოძირკვა სამი ბუჩქი...

პატარა უფლისწულმა სულ დაწვრილებით ამიწერა ყველაფერი, მეც ავდექი და დავხატე ეს პლანეტა. ჭირის დღესავით მძულს სხვებისთვის ჭკუის სწავლება, მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის, რას გვიქადიან ბაობაბები, მაგრამ საფრთხე, რომელიც ემუქრება ასტეროიდზე ყველა მოხვედრილს, კარგა დიდია; აი ამჯერად რატომ აღარ ვიჩენ ჩემს ჩვეულ თავშეკავებას. „ბავშვებო! – ვეუბნები. მოერიდეთ ბაობაბებს!“ ერთი სული მაქვს, სანამ გავაფრთხილებდე ჩემს მეგობრებს, რაოდენ საშინელი საფრთხე ემუქრება ყველას, აღმოცენებულ ბაობაბში ჩასაფრებული, ისინი კი აზრზე არ არიან, როგორც მე არ ვიყავი ადრე აზრზე. აი რატომ ვიშრომე ასე საგულდაგულოდ ამ სურათის მოსახელკეთილებლად, და სულაც არა ვნანობ დახარჯულ შრომას. იქნებ მკითხოთ, რატომ ამ ბაობაბების სურათივით შთამბეჭდავი სხვა სურათებიც არ არის ამ წიგნშიო? პასუხი მარტივია: ბევრი ვეცადე, მაგრამ, რა ვქნა, არაფერი არ გამომივიდა. ხოლო ბაობაბებს რომ ვხატავდი, ზეშთაგონებული ვიყავი, რომ ფრიად მნიშვნელოვან და გადაუდებელ საქმეს ვახელკეთილებდი.



VI.

ო, ჩემო პატარა უფლისწულო! თანდათან ისიც გავიგე, თუ რა ნაღვლიანი და ერთფეროვანი იყო შენი ცხოვრება. დიდხანს შენ მხოლოდ ერთი რამით ერთობოდი: მზის ჩასვლას შეჰხაროდი. ეს ამბავი მეოთხე დღის დილით შევიტყვე, როცა თქვი:

– ვგიჟდები, ისე მიყვარს დაისი. წამოდი, მზის ჩასვლას ვუყუროთ.

– ცოტა მოცდა მოგვიწევს.

– რას უნდა ვუცადოთ?

– მზის ჩასვლას.

თავდაპირველად ძალიან გაგიკვირდა, მერე შენსავე თავზე გაგეცინა და თქვი:

– ასე მგონია, შინა ვარ!

მართალია, ყველამ იცის, რომ როცა ამერიკაში შუადღეა, საფრანგეთში მზე შუბის ტარზეა, სადაც არის ჩავა. და ერთ წუთში საფრანგეთში გადასვლა რომ შეგვძლებოდა, იცოცხლე, დაისის ცქერით დავტკბებოდით. სამწუხაროდ, საფრანგეთამდე კარგა გვარიანად შორია. შენს პლანეტუკაზე კი საკმარისი იქნებოდა, რომ სულ რამდენიმე ნაბიჯზე გაგეწია სკამი, და, თუ მოისურვებდი, გეცქირა ჩამავალი მზისთვის...

– ერთხელ მზის ჩასვლა ერთ დღეში ორმოცდასამჯერ ვნახე!

ცოტა ხნის შემდეგ კი დასძინა:

– იცი, რას გეტყვი, გულზე თუ დარდი შემოგაწვა, არცრა დაისის ცქერას არა სჯობს რა...

– მაშ, აბა, იმ დღეს ორმოცდასამჯერ რომ უყურე მზის ჩასვლას, ძალიან დარდიანი ყოფილხარ!

მაგრამ პატარა უფლისწულს ენა არ დაუსველებია.

VII.

მეხუთე დღეს, ისევ და ისევ ბატკნის წყალობით, პატარა უფლისწულის მთელ საიდუმლოს ჩავწვდი. მოულოდნელად მკითხა, პირდაპირ, უშესავლოდ, თითქოს ამ დასკვნამდე კარგა ხნის გულში ჩახვეული ფიქრის შემდეგ მივიდაო.

– თუკი ბატკანი ბუჩქებსა ჭამს, ყვავილებსაც შეჭამს, რა დაუშლის.

– რაც მოხვდება, ყველაფერსა ჭამს.

– ეკლებიან ყვავილებსაც?

– კი, ბატონო, ეკლებიანსაც.

– მაშ, აბა, რაღა საჭიროა ეკლები?

ეს უკვე აღარ ვიცოდი, მე ჩემი გასაჭირი მქონდა: ძრავაში ჩაჭედილი ქანჩის მოშვებას ვცდილობდი. უგუნებოდ ვიყავი. მდგომარეობა სულ უფრო უარესდებოდა, წყალი თითქმის აღარ იყო, და შიშმა შემიპყრო, ვაითუ ეს ჩემი მაიძულებული დაფრენა ცუდად დამთავრდეს-მეთქი.

– რაღა საჭიროა ეკლები?

რასმე რომ იკითხავდა, პატარა უფლისწული მანამ არ მომეშვებოდა, სანამ არ ვუპასუხებდი. ურჩმა ქანჩმა მოთმინება დამაკარგვინა და ალალბედზე მივუგე:

– ეკლები არც არაფრისთვის არ არის საჭირო, ყვავილები უბრალოდ სიავის გამო ისხამენ!

– უყურე ერთი!

ერთხანს ხმა აღარ ამოუღია. მერე თითქმის გაბრაზებულმა მითხრა:

– არა მჯერა შენი: სუყველა ყვავილი სუსტია და გულუბრყვილო, ამიტომაც ცდილობენ თავის გამხნევებას. მაგათ ჰგონიათ, აქაოდა ეკლიანები ვართ, დიდიან-პატარიანად ყველას ჩვენი ეშინიათო...

მე პასუხი არ გამიცია. იმწუთას ჩემს თავს ვეუბნებოდი: „თუ ეს ოხერი ქანჩი არც ახლა დაჰყვა ჩემს ნებას, ისე ჩავცხებ ჩაქუჩს, რომ სულ დავაქუცმაცებ“. პატარა უფლისწულმა კვლავ გამაწყვეტინა ფიქრი:

– მაშ, შენ ფიქრობ, რომ ყვავილები...

– არა, ბატონო, არაფერსაც არა ვფიქრობ! რაც ენაზე მომადგა, ის გიპასუხე. მომეშვი, ხომ ხედავ, რა გაჭირვებაშიც ვარ.

მან განცვიფრებულმა შემომხედა.

– გაჭირვებაში ხარ?!

წამერთ თვალს არ მაშორებდა: საპოხი ზეთით გათხუპნულმა და ხელჩაქუჩიანმა ისევ ქანჩს დავუწყე კირკიტი, რომელი ქანჩიც იმისთვის გაუგებარი რამ მახინჯი საგანი იყო.

– ნამდვილი სრულწლოვანივით ლაპარაკობ! – თქვა მან.

მართალი გითხრათ, შემეხათრა. მან კი, ულმობლად მომახალა:

– ყველაფერს ერთმანეთში ურევ... არც არაფერი არ გაგეგება!

წამოჭარხლებულ სახეზე ეტყობოდა, მართლა გაბრაზებული იყო. თავი გაიქნია, და ქარმა ოქროსფერი თმა აუწეწა...

– მე ვიცი ერთი პლანეტა, იქ ერთი წითური კაცი ცხოვრობს. თავის სიცოცხლეში ერთხელაც არ დაუყნოსავს ყვავილი. ერთხელაც არ შეუხედავს ვარსკვლავისთვის. არცროდის არცვინ არ ჰყვარებია. და არცროდის ჩხირიც არ გადაუბრუნებია. მთელი თავისი დღე და მოსწრება დგას და რიცხვებს უმატებს ერთმანეთს. და დილიდან საღამომდის შენსავით ერთსა და იმავეს გაიძახის: „მე დარბაისელი კაცი ვარ! მე დარბაისელი კაცი ვარ!“ მერე ახლა როგორ მედიდურად იფხორება. არადა სინამდვილეში კაცი კი არა, სოკოა.

– რა?

– რა და სოკო!

პატარა უფლისწული სიბრაზისგან გაფითრდა კიდეც.

– ვინ იცის, რამდენი მილიონი წელიწადია, რაც ყვავილები ეკლებს ისხამენ. და მილიონობით წელიწადია, რაც ბატკნები მაინც ჭამენ ყვავილთ. ნუთუ ღრმადგონივრული საქმე არ არის იმის გაგება, თუ რატომ ისხამენ ყვავილები ასე ჯიუტად ეკლებს, თუკი არცრა ეკალთაგან არა არგიათ რა? ნუთუ საყურადღებო არ არის, რომ ბატკნებსა და ყვავილებს ომი აქვთ ერთმანეთში? ნუთუ ეს ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და საყურადღებო არ არის, ვიდრე წითური ჩაკურატებული ვაუბატონის არითმეტიკა? თუ მსოფლიოში ერთადერთ ყვავილს რომ ვიცნობ, რომელიც მარტო ჩემს პლანეტაზე ხარობს და იმნაირი სხვაგან არსად არ არის, ერთ მშვენიერ დილით ბატკანმა ისე ჩაკვრიხოს, ვერც მიხვდეს, რა ჩაიდინა, ნუთუ, შენი აზრით, ეს უმნიშვნელო რამ არის?!

უფლისწული მთლად სისხლისფერი გახდა. მერე კვლავ აძრახდა:

– თუ ყვავილი გიყვარს –ერთადერთი, რომლისნაირი სხვა მილიონობით ვარსკვლავზე არსად არ არის, ნამდვილად საკმარისია იმისთვის, რომ ახედო შენი პლანეტის ცას და ბედნიერი იყო. და გულში თქვა: იქ სადღაც ჩემი ყვავილი ხარობს... მაგრამ თუ ბატკანმა ის შეჭამა, გინდა სუყველა ვარსკვლავი ერთბაშად ჩამქრალა, სულერთია! და ეს, შენი აზრით, უმნიშვნელო რამ არის!

მან მეტის თქმა ვეღარ შეძლო. ერთბაშად ტირილი აუვარდა. ჩამობნელდა. ძრავას შევეშვი. ბედნავსი ქანჩიც გულიდან გადამვარდა და ჩაქუჩიც, თვით წყურვილი და სიკვდილიც კი დამავიწყდა. ვარსკვლავზე, პლანეტაზე – ჩემს პლანეტაზე, დედამიწად სახელდებულზე, – ტიროდა პატარა უფლისწული. საჭირო იყო ნუგეშინისცემა. ეგრევე ხელში ავიყვანე და დავანანავე, თან ვეუბნებოდი: „ყვავილს, რომელიც შენ გიყვარს, არცრა ცუდი არ ემუქრება... მაგ შენს ბატკანს საღრუნჩეს დავუხატავ... მაგ შენს ყვავილს კი დავუხატავ ჯავშანს... მე...“ აღარ ვიცოდი, კიდევ, რა მეთქვა იმისთვის. თავს ძალიან უხერხულად ვგრძნობდი. ადგილს ვერ ვპოულობდი. ვერ მოვიფიქრე. რა დამეძახა, რომ იმას გაეგო, როგორ დავწეოდი იმის სულს, რომელიც მისხლტებოდა. მართლაც რა იდუმალი და შეუცნობელია ეს ცრემლების სამყარო...

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №231

◎ წინ, საქართველო!

22 მედლით დაბრუნდნენ

ეილათში (ისრაელი) დამთავრდა ახალგაზრდა ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც ქართველმა ათლეტებმა სამივე სინჯის 22 მედალი მოიხვეჭეს. განსაკუთრებით უხვმოსავლიანი აღმოჩნდა ასპარეზობის ბოლო დღე. მძიმე წონაში (+105 კგ) რიოს ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულმა, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა ლაშა ტალახაძემ 23-წლამდელებში სამი ოქროს მედალი მოიპოვა და ამავე ასაკში კონტინენტის რეკორდები სამჯერ გააუმჯობესა: ქართველმა ძალოსანმა ატაცში სამივე ცდა გამოიყენა. მეორე მისვლისას მან 200-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა, რაც რუსი რუსლან ალბეგოვის 2011 წელს დამყარებულ რეკორდზე ერთბაშად 5 კილოთი მეტია, მესამე ცდაზე კი უკვე საკუთარ მიღწევაზე მიიტანა იერიში და რამდენიმე წუთის წინ ნაჩვენებ შედეგს 5 კილოთი გადაამეტა. ლაშამ ორჭიდშიც ახალი ევროპული მიღწევით (აქაც ალბეგოვის რეკორდი (435) დაამხო) მოიპოვა კონტინენტის ჩემპიონობა - მეორე ადგილზე გასულ რუს ანტონ სავჩუკს 42 კილოგრამით აჯობა.

ლაშა ტალახაძე

+105 კგ. 1. ლაშა ტალახაძე (საქართველო) - 440 (205+235), 2. ანტონ სავჩუკი (რუსეთი) - 398 (182+216), 3. ლეონიდ კუბიშკოვსკი (უკრაინა) - 392 (181+211).

20-წლამდელ გოგონათა მძიმე წონაში (+75) სამი ოქროს მედლით დაასრულა ასპარეზობა ანასტასია გოტფრიდმა. წლეულს აპრილში ნორვეგიის ქალაქ ფიორდეში გამართულ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე ქალთა შორის ორჭიდში მან 249 (113+136) კილოგრამი მოაგროვა და სომეხ რიფსიმე ხურშუდიანს (250=113+137) კილოგრამით ჩამორჩა, ამიტომაც ვერცხლის მედალს დასჯერდა. მსგავს წარმატებას მიაღწია წლეულს თბილისში მოწყობილ ახალგაზრდა ძალოსანთა მსოფლიოს პირველობაზე: ატაცში (116 კგ) „ოქრო“ დაიმსახურა, ხოლო აკვრასა (140 კგ) და ორჭიდში (256 კგ) ვერცხლის მედლები ერგო, ეილათიდან კი სამივე „ოქრო“ მან წამოიღო.

+75 კგ. 1. ანასტასია გოტფრიდი (საქართველო) - 251 (118+133), 2. ვალენტინა კისილი (უკრაინა) - 238 (110+128), 3. მერსი ბრაუნი (დიდი ბრიტანეთი) - 233 (101+132).

ასპარეზობის ბოლო დღეს 20-წლამდელებში ორმა ქართველმა ძალოსანმა ხუთი მედალი მოიპოვა. ატაცში, აკვრასა და ორჭიდში დავით ხეცურიანმა ვერცხლის მედლები მოიხვეჭა, თანაც აკვრაში ესპანელი მარკოს რუისის მსგავსად 206-კილოიანი შტანგა დაიმორჩილა, მაგრამ პირადი წონით მეტოქე 360 გრამით მსუბუქი აღმოჩნდა და „ოქროც“ პირენეელმა წაიღო. გიორგი აკვრასა და ორჭიდში მესამე ადგილებზე გავიდა:

105 კგ. 1. მარკოს რუისი (ესპანეთი) - 381 (175+206), 2. დავით ხეცურიანი (საქართველო) - 377 (171+206), 3. გიორგი ჩხეიძე (საქართველო) - 372 (169+203)

ლექსო ცინცაძე

◎ ფეხბურთი

მზე სამტრედიაშიც ამოვიდა!..

საქართველოს ჩემპიონთა რიგებს „სამტრედია“ შეემატა. გია ცეცაძის შეგირდებმა გარდამავალი პირველობის ორრაუნდიან ფინალში საჩხერის „ჩიხურას“ სძლიეს 2:0 და 2:2.

იმერული დერბის გმირად გამარჯვებულთა შეტევების ლიდერი ბუდუ ზივზივაძე მოგვევლინა. შეგახსენებთ, რომ ერთი კვირის წინათ მან დუბლი შეასრულა, ხოლო ამჯერად ჯერ პენალტი „აიკიდა“, შესვენების შემდეგ კი გუნდის კაპიტანი დათუნაიშვილი მოამარაგა საგოლე გადაცემით.

სიმბოლურია, რომ ჩვენმა ბიჭებმა ნავსი სწორედ „დინამო არენაზე“ გატეხესო — ხარობდნენ საპასუხო მატჩის შემდეგ ტრიუმფატორთა ქომაგები. ალბათ მიხვდით, რასაც გულისხმობდნენ ისინი — გემახსოვრებათ, რომ 1995 წლის სეზონში სამტრედიელებს ჯიბიდან ამოაცალეს თითქმის უკვე მოპოვებული ოქროს მედლები და მაშინ ამის მიზეზად მეტოქეთა მფარველების „მხედრიონისა“ („დინამო“) და „კგბ-ს“ („სამტრედია“) შეფებს შორის გართულებული ურთიერთობა დასახელდა.

რადგან „დინამო“ ვახსენეთ, დავძენთ, რომ ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი, მეორედ 2011 წლის შემდეგ, ევროტურნირებს მიღმა დარჩა. ეს მას შემდეგ გაირკვა, რაც ევროპის ლიგის საგზურისთვის გამართული შეხვედრა „თეთრ-ლურჯებმა“ „ბათუმთან“ წააგეს — 0:1 (შონია).

გიორგი ზოთაძე

წილი ნაყარია

უეფას ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში მერვედფინალური წყვილები გაირკვა. რამდენიმე თამაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. მაგალითად, „არსენალი“ — „ბაიერნი“ და „პსჟ“ — „ბარსელონა“.

აქვე წარმოგიდგენთ მერვედფინალური ეტაპის კალენდარს.

14 თებერვალი — 8 მარტი (საპასუხო მატჩები)

„ბენფიკა“ (პორტუგალია) — „დორტმუნდი“ (გერმანია),

„პსჟ“ (საფრანგეთი) — „ბარსელონა“ (ესპანეთი).

15 თებერვალი — 7 მარტი

„რეალი“ (ესპანეთი) — „ნაპოლი“ (იტალია),

„ბაიერნი“ (გერმანია) — “არსენალი“ (ინგლისი).

21 თებერვალი — 15 მარტი

„სიტი“ (ინგლისი) — „მონაკო“ (საფრანგეთი),

„ლევერკუზენი“ (გერმანია) — „ატლეტიკო“ (ესპანეთი).

22 თებერვალი — 14 მარტი

„პორტუ“ (პორტუგალია) — „იუვენტუსი“ (იტალია),

„სევილია“ (ესპანეთი) — „ლესტერი“ (ინგლისი).

ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲔᲢᲐ�პᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲠᲘᲒᲘ:

მეოთხედფინალის წილისყრა — 17 მარტი, ნიონი.

მეოთხედფინალური მატჩები — 11/12 და 18/19 აპრილი.

ნახევარფინალის წილისყრა — 21 აპრილი, ნიონი.

ნახევარფინალური მატჩები — 2/3 და 9/10 მაისი.

ფინალი — 3 ივნისი, კარდიფი.

* * *

ᲔᲕᲠᲝᲞᲐ ლიგაზე მეთექვსმეტედფინალში გასული 32 გუნდიც გუშინ დაწყვილდა. უეფას შტაბ-ბინაში გამართული კენჭისყრის შედეგად 1/8 ფინალის საგზურისთვის ერთმანეთს დაუპირისპირდებიან:

ბილბაოს ატლეტიკი (ესპანეთი) — აპოელი (კვიპროსი),

ლეგია (პოლონეთი) — აიაქსი (ჰოლანდია),

ანდერლეხტი (ბელგია) — ზენიტი (რუსეთი),

ასტრა (რუმინეთი) — გენკი (ბელგია),

მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) — სენტ ეტიენი (საფრანგეთი),

ვილიარეალი (ესპანეთი) — რომა (იტალია),

ლუდოგორეცი (ბულგარეთი) — კოპენჰაგენი (დანია),

სელტა (ესპანეთი) — დონეცკის შახტარი (უკრაინა),

ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — ოსმანლისფორი (თურქეთი),

გენტი (ბელგია) — ტოტენჰემი (ინგლისი),

როსტოვი (რუსეთი) — სპარტა პრაღა (ჩეხეთი),

კრასნოდარი (რუსეთი) — ფენერბახჩე (თურქეთი),

მაინხენგლადბახი (გერმანია) — ფიორენტინა (იტალია),

ალკმაარი (ჰოლანდია) — ლიონი (საფრანგეთი),

ჰაპოელი (ისრაელი) — ბეშიქთაში (თურქეთი),

პაოკი (საბერძნეთი) — შალკე (გერმანია).

მეთექვსმეტედფინალის პირველი შეხვედრები 16 თებერვალს შედგება, საპასუხო მატჩები კი 23-ში გაიმართება.

კობა კობახიძე„

◎ ჭიდაობა

ვერცხლის ჯილდოს დასჯერდა

უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში მოჭიდავეთა არაოლიმპიური წონითი კატეგორიებისთვის გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატში საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავე ბექა ლომთაძეს (61 კგ) კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა: ჩვენმა ფალავანმა პირველ წრეში ყირგიზ ადილეტ მამატაევს წმინდად მოუგო, მერე მოლდოველ ანდრეი პერპელიტას 5:2 აჯობა, საფრანგეთის ნაკრების წევრი იური სიემაკინი 12:2 დაჯაბნა, ხოლო აზერბაიჯანელ ახმედნაბი გვარზატილოვს დაძაბულ პაექრობაში 12:11 სძლია. გადამწყვეტ პაექრობაში ბექა ლომთაძე ამერიკელ ლოგან ჯეფრი შტიბერთან 4:8 დამარცხდა და მეორე ადგილს დასჯერდა.


ბექა ლომთაძე

გივი გაგუა

◎ ლეგიონერები

გამარჯვება „ბარსელონასთან“

ესპანეთის ჩემპიონატში მორიგი გამარჯვება მოიპოვა ბექა ბურჯანაძისა და გიორგი შერმადინის „ანდორამ“ და, რაც მთავარია, ქართველ კალათბურთელთა სოლიდური თანამონაწილეობით. ანდორელებმა კატალონიური გრანდი „ბარსელონა“ იმსხვერპლეს - 87:80.

სასტარტო ხუთეულში მყოფმა გიორგი შერმადინმა 18 წუთი ითამაშა და 11 ქულა, 3 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა. ქართველმა ცენტრმა 6-დან 5 ორქულიანი და 1 საჯარიმო ჩააგდო, 1 სამიანი კი ააცილა.

უფრო შედეგიანი იყო ბექა ბურჯანაძე, რომელიც სასტარტოში არ ყოფილა, მაგრამ მოედანზე 26 წუთი გაატარა და თავი 13 ქულას, 3 მოხსნას და 1 ჩაჭრას მოუყარა. ბექამ 4-დან 3 ორქულიანი, 2-დან 2 სამიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო.

ანდორელთაგან 18 ქულით საუკეთესო იყო დევიდ იელინეკი, ხოლო ენდრიუ ალბისის ანგარიშზე 15 ქულა და 7 პასი დაგროვდა.

ქართველთა გუნდი 7 მოგებითა და 4 მარცხით „უნიკახასთან“ ერთად მე-6 ადგილს იყოფს. მომდევნო ტურში, 21 დეკემბერს, „ანდორა“ „სარაგოსას“ უმასპინძლებს.

ვიტალი ჯაფარიძე

დანართი №1 (3 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2016წლის „12 დეკემბრის“
№ 01-3/434 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

N	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	საბადო ან გამოვლინება	კატეგორია	მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა $მ^3$	საწყისი ფასი (ლარი)	ზე-ს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარი)
1	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფელი დოლოგანი.	„მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინები“-ს უბანი N-I	P	25 000	4350,00	3480,00
2	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფელი დოლოგანი.	„მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინები“-ს უბანი N-II	P	25 000	4350,00	3480,00
3	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფელი დოლოგანი.	„მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინები“-ს უბანი N-III	P	25 000	4350,00	3480,00
4	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფელი დოლოგანი.	„მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინები“-ს უბანი N-IV	P	25 000	4350,00	3480,00
5	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფელი დოლოგანი.	„მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინები“-ს უბანი N-V	P	25 000	4350,00	3480,00
6	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფელი დოლოგანი.	„მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინები“-ს უბანი N-VI	P	25 000	4350,00	3480,00
7	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფელი დოლოგანი.	„მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინები“-ს უბანი N-VII	P	25 000	4350,00	3480,00
8	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფელი დოლოგანი.	„მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინები“-ს უბანი N-VIII	P	25 000	4350,00	3480,00
9	ქედის მუნიციპალიტეტი. სოფელი დოლოგანი.	„მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინები“-ს უბანი N-IX	P	28 557	4970,00	3980,00

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 14 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 17 იანვარს დღის 18.00 საათზე
აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 17 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 17 იანვარს დღის 18.00 საათზე
სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ინფორმაცია

2017 წლის 31 იანვარს 13:00 საათზე, ქ. სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (აღმაშენებლის მოედანი №2) გაიმართება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ჩალაუბანი-სიღნაღი-ანაგას საავტომობილო გზის მე-6 კმ-ზე არსებული სახიდე გადასასვლელის ნაცვლად, ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებგვერდზე: www.georoad.ge**
- **ქ. სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (გზშ-ს ანგარიშის ამობეჭდილი ვერსია);**

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქალბატონ ლუიზა ბუბაშვილს ტელ: 595 219141 ელ.ფოსტა: likabubashvili@yahoo.com

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

მაგნოლია ციხისძირიდან შეკვეთილში გადასატანად მზადდება

ასწლოვანი „ტიტის“ შემდეგ ბიძინა ივანიშვილი ამჯერად მაგნოლიას მრავალწლიან ხეს გადარგავს.

ხის გადარგვას იგივე კომპანია „ზიმო„ უზრუნველყოფს, რომელმაც ციხისძირიდან შეკვეთილში უკვე გადაიტანა „ტიტას“ ასწლოვანი ხე. სამუშაოები უკვე დაწყებულია. როგორც ცნობილია, შეკვეთილში სადაც ასწლოვანი ტიტას ხე გადარგეს, უნიკალური ჯიშის ხეების ახალი პარკი გაშენდა.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
სულხან-საბას ქ. №3.
293-13-34; 599 797679

სანთელი

დევი უგრეხელიძე

გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ დევი უგრეხელიძეს 13 დეკემბერს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდებოდა.

დევი უგრეხელიძემ 1954 წელს დაამთავრა ქალაქ თბილისის 32-ე ვაჟთა საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1961-1964 წლებში სწავლობდა ამავე უნივერსიტეტის ორგანული ქიმიის კათედრის ასპირანტურაში აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ილია გვერდწითელის ხელმძღვანელობით. 1964 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1965 წლიდან დევი უგრეხელიძემ აკადემიკოს სერგი დურმიშიძის მიწვევით მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტში, სადაც ხელმძღვანელობდა ქსენობიოტიკთა ლაბორატორიას.

1974 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, ხოლო 1977 წელს პროფესორის წოდება. 1975 წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორის ვალერიან მეტრეველის მიწვევით დევი უგრეხელიძე სათავეში ჩაუდგა ბიოორგანული ქიმიის კათედრას, რომელსაც 21 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა, 1996-2006 წლებში დაუბრუნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტს მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე. 1988 წელს იგი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

დევი უგრეხელიძე გარდაიცვალა 2012 წელს.

დევი უგრეხელიძის სამეცნიერო ინტერესების სფერო მოიცავდა მეცნიერების მნიშვნელოვან დარგს - ეგზოგენურ ნაერთთა (ქსენობიოტიკთა) ბიოქიმიას. იგი სწავლობდა ეგზოგენურ ნაერთთა დეტოქსიკაციის გზებს უმაღლეს მცენარეებში და ითვლება ამ მიმართულების ფუძემდებლად მცენარეთა ბიოქიმიაში.

დ.უგრეხელიძის გამოკვლევები აქტუალურია არა მხოლოდ თეორიული თვალსაზრისით, როგორიცაა უმაღლეს მცენარეებზე ქსენობიოტიკთა ზემოქმედების ბიოქიმიური და ფიზიოლოგიური საფუძვლები, მცენარეული უჯრედის დეტოქსიკაციის აპარატის კვლევა და ა.შ., არამედ პრაქტიკულ ასპექტშიც, რადგანაც ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებული გარემოს ქიმიური დაბინძურების გაუვნებელობის პრობლემასთან. ამ დარგში დევი უგრეხელიძის მიერ მიღებული უმნიშვნელოვანესი შედეგები ასახულია 4 მონოგრაფიასა და 150-მდე სამეცნიერო სტატიაში.

დიდია დ. უგრეხელიძის დამსახურება ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების საქმეში. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

დევი უგრეხელიძის სახელი სამუდამოდ დარჩება ქართული მეცნიერების ისტორიაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება

მხატვრები: პროფესორი ილო პატაშური, ეკა ბერიაშვილი, პაატა პატაშური, მამუკა მახარაშვილი, ბესო როსტომაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვარი

ხვიჩა ბებია

და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს და ახლობლებს.

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია თანაგრძნობას უცხადებს ამავე აკადემიის ნამდვილ წევრს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, აკადემიკოს პავლე ჩაგელიშვილს მეუღლის

ჟუჟუნა ლაცაბიძის

გარდაცვალების გამო

ხსოვნა

მამა აფრასიონი, მეუღლე ნატო, შვილები ბექა და ლელა, შვილიშვილები რატი, ელენე და მართა ბურდილაძეები, ლევან და დაჩი იოსელიანები, ძმები იური და როლანდი, რძლები თამარ მოსიაშვილი, მანანა რაზმაძე და გულიკო ბურდილაძე, სიძე ირაკლი იოსელიანი, ძმისშვილები მამუკა, ბესო, ლაშა და მაკა ბურდილაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თემურ ბურდილაძე

გამოსვენება სამშაბათს, 13 დეკემბერს, 2 საათზე წმინდა მარინეს სახელობის ეკლესიიდან (სოფ. დიღომი). დაკრძალვა მუხათგვერდის სასაფლაოზე.

„საქართველოს რესპუბლიკის“ კოლექტივი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაეცვალა ყოფილი თანამშრომელი და მეგობარი

თემურ ბურდილაძე

და გულითადად თანაუგრძნობს მის ოჯახსა და ახლობლებს

ირმა ჩოფიკაშვილი

კიდევ ერთი ცნობილი, ღვაწლმოსილი ჟურნალისტი, დიდებული ქალბატონი, ერთგული მეგობარი წავიდა ჩვენგან.

ირმა ჩოფიკაშვილი ათეული წელი იღვწოდა ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციაში. ჟურნალის ფურცლებს ამშვენებდა მისი პუბლიცისტური წერილები, რეპორტაჟები, ინტერვიუები. მას, როგორც პროფესიონალ ჟურნალისტს, დიდი წვლილი აქვს შეტანილი არა მხოლოდ ჟურნალის წარმატებაში, არამედ ქართული ჟურნალისტიკის განვითარების საქმეში.

იგი ამშვენებდა ჩვენს საზოგადოებას თავისი ინტელექტით, გარეგნობით. იყო ქართველ მხატვართა მუზა, ქართული ტრადიციული ოჯახის დედა, შესანიშნავი მეუღლე.

წავიდა ჩვენგან და დაგვიტოვა დიდი ტკივილი. უფალმა სასუფეველში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.

მეგობრების და კოლეგების სახელით
ლინა ბარათაშვილი

ნესტორ ჭილაძე

წავიდა ამ ქვეყნიდან შესანიშნავი ადამიანი, ქართული თეატრის დიდი მოამაგე, დიდებული პიროვნება, ბატონი ნესტორ ჭილაძე.

იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა რუსთაველის თეატრს. ეს იყო ჩვენი ტრიუმფის წლები, წლები, როდესაც ქართულ თეატრზე ალაპარაკდა მთელი მსოფლიო და, ცხადია, ამ წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანა ბატონმა ნესტორმა. საოცრად გულისხმიერი პიროვნება ერთნაირად ყურადღებიანი გახლდათ თეატრის ყველა თანამშრომლის მიმართ. მკაცრიც იყო და მომთხოვნიც, მაგრამ ამავე დროს მეტად თბილი და გულითადი. ამიტომაც გამორჩეულად უყვარდათ იგი. რუსთაველის თეატრში დღესაც ყველა დიდი სითბოთი და მადლიერებით იხსენიებს ამ კეთილშობილ და სათნო კაცს.

13 დეკემბერს რუსთაველის თეატრი დიდი გულისტკივილით გამოეთხოვება ბატონ ნესტორ ჭილაძეს, მისი ხსოვნა კი სამუდამოდ იცოცხლებს ჩვენს გულებში.

რუსთაველის თეატრი

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.5887; ევრო - 2.7474;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2636;
100 რუბლი - 4.1072; თურქული ლირა - 0.7462;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4630;
1000 სომხური დრამი - 5.3861.

ამინდი 13 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე -3	დღე +12
მთიანი რაიონები -	ღამე -7	დღე +6
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +3	დღე +14
მთიანი რაიონები -	ღამე 0	დღე +7
თბილისი:	ღამე +2	დღე +10

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE